ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 607

“19” დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.06.036.038.01.003, №01.16.06.036.038.01.004 და №01.16.06.036.038.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.06.036.038.01.003, №01.16.06.036.038.01.004 და №01.16.06.036.038.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 დეკემბრის №23.1857.2043 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა №10-ში, პირველ სართულზე არსებული 60.40 კვ.მ. ფართის ბინა №3-ის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.036.038.01.003) პირველ სართულზე არსებული 4.10 კვ.მ. ფართის ბინა №4-ის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.036.038.01.004) და პირველი სართულზე არსებული 4.80 კვ.მ. ფართის ბინა №6-ის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.036.038.01.006) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე პირიმზე ფირცხელიანისთვის (პ/ნ. 19001024913) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე